ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 386

18 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის" (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის" (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 დეკემბრის №18.988.1374 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის" (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**